# ხელშეკრულება №16

## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. სამტრედია 17.. 06. 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ნანული მანჯგალაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ,,მერი გიორგაძე" (შემდგომში - მიმწოდებელი) მისი წარმოდგენილი ლუბოვ ჭანტურია პ/ნ 37001014184 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სამეურნეო საქონლის (CPV31200000; CPV31500000; CPV31600000; CPV42100000; CPV44100000; CPV44300000; CPV44400000; CPV44500000;) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს 1096 ლარს 95 თეთრს (ათასოთხმოცდათექვსმეტი ლარი 95თეთრი)

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2020 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი

შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**
6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**
7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**
8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**
9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ

სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

12.1 ხელშეკრულება ფორმდება ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

**მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა**

| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
|---|---|
| სსიპ - ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლა<br>ს/კ 238762987<br>მის: ქ. სამტრედია, თელიას ქ.N2<br>ტელ: 577933802<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,თიბისი ბანკი "<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ა/ა GE60TB7606433020100001<br><br>**დირექტორის მ/შ ნანული მანჯგალაძე** | ი/მ ,,მერი გიორგაძე"<br>ს/კ 37001032662<br>მის.: ქ. სამტრედია, 9 აპრილის ქ. N2<br>ტელ.: 595228920<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,თიბისი ბანკი''<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ა/ა GE95TB7441736010100014<br><br>**წარმომადგენელი** ლუბოვ ჭანტურია<br>Lubov Chanturia<br>Digitally signed by Lubov Chanturia<br>Date: 2020.06.22 11:34:21 +04'00' |

დანართი 1

# სამეურნეო საქონელი

| N | დასახელება | C P V კოდი | განზომ. | რ-ბა | ერთ-ის ფასი | ღირ-ბა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კარის საკეტი | 44521100 | ცალი | 1 | 20.00 | 20.00 |
| 2 | დამცველი (100) | 31212400 | ცალი | 1 | 65.00 | 65.00 |
| 3 | დამცველი (32) | 31212400 | ცალი | 16 | 6.00 | 96.00 |
| 4 | დამცველი | 31212400 | ცალი | 22 | 4.00 | 88.00 |
| 5 | დამცველის (100) ხუფი | 31692110 | ცალი | 1 | 9.00 | 9.00 |
| 6 | დამცველის (32) ხუფი | 31692110 | ცალი | 1 | 2.00 | 2.00 |
| 7 | ელექტრო სადენი(2x2.5) | 44141100 | მეტრი | 100 | 1.60 | 160.00 |
| 8 | როზეტი | 31224100 | ცალი | 30 | 4.50 | 135.00 |
| 9 | დამცველის ყუთი | 31692110 | ცალი | 4 | 12.00 | 48.00 |
| 10 | პლასტმასის სამაგრი | 44322400 | ცალი | 85 | 0.15 | 12.75 |
| 11 | სამაგრი ხრახნი (შურუპი) | 44531300 | ცალი | 400 | 0.02 | 8.00 |
| 12 | საშლელი (ატვიორკა) | 44512800 | ცალი | 1 | 3.50 | 3.50 |
| 13 | შლანგი | 44165100 | მეტრი | 30 | 1.50 | 45.00 |
| 14 | საიზოლაციო ლენტა | 31651000 | ცალი | 5 | 1.00 | 5.00 |
| 15 | სანათი | 31524120 | ცალი | 1 | 20.00 | 20.00 |
| 16 | სანათი | 31524120 | ცალი | 10 | 11.00 | 110.00 |
| 17 | ელსადენის გამტარი | 44141100 | მეტრი | 26 | 0.80 | 21.00 |
| 18 | ონკანი | 42131400 | ცალი | 1 | 12.00 | 12.00 |
| 19 | რეზინის მილი | 44165100 | მეტრი | 3 | 1.50 | 4.50 |
| 20 | ონკანი | 42131400 | ცალი | 1 | 36.00 | 36.00 |
| 21 | საღებავი | 44111400 | ყუთი (კგ) | 3 | 6.00 | 18.00 |
| 22 | ფარდის სამაგრი (პლასტმასის) | 44115811 | მეტრი | 6 | 2.20 | 13.20 |
| 23 | სიფონი | 44411000 | ცალი | 2 | 4.00 | 8.00 |
| 24 | ელექტრო სახვრეტი | 44512910 | ცალი | 1 | 50.00 | 50.00 |
| 25 | საკეტის გული | 44522400 | ცალი | 5 | 6.00 | 30.00 |
| 26 | ელექტრო გამანაწილებელი | 31213300 | ცალი | 2 | 2,5 | 5,00 |
| 27 | ასიზოლაციო ლენტა | 31651000 | ცალი | 1 | 2.00 | 2.00 |
| 28 | კაბელ-არხი (20x10) | 44322300 | ცალი | 10 | 0.7 | 7.00 |
| 29 | კაბელ-არხი (15x10) | 44322300 | ცალი | 16 | 0.5 | 8.00 |
| 30 | ჩამრთველი | 31210000 | ცალი | 10 | 3.00 | 30.00 |
| 31 | როზეტი | 31224100 | ცალი | 10 | 3.00 | 30.00 |
| | | | | | | 1096.95 |